ფეხბურთის მოედნებზე

“დინამო” (თბილისი) _ “ზენიტი” (ლენინგრადი)

25 ივლისს ლენინგრადში შესდგა კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის “დინამოსა” და ლენინგრადის “ზენიტის” ფეხბურთელთა გუნდები. დასაწყისშივე თბილისელები გადადიან შეტევაზე და ხსნიან ანგარიშს. ერთი წუთის შემდეგ მახარაძემ თავით მეორე ბურთი გაიტანა. ტაიმის უკანასკნელ წუთებში ლენინგრადელმა კოროტკოვმა ერთი ბურთი გაქვითა.

თამაშის მეორე ნახევარში დინამოელები რამდენიმე სახიფათო მომენტს ქმნიან “ზენიტის” კართან, მაგრამ ანგარიში უცვლელი რჩება. ლენინგრადელებმა კი შესძლეს მეორე ბურთის გატანა. მატჩი დამთავრდა ფრედ _ 2:2.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 26 ივლისი, 1949 წ.